საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12981/01
31/12/2020

12981-01-2-202012311332

შპს „იმგეს“
მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის II შესახვევი N2ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი №16232 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შპს „იმგეს“ წყალში ხსნადი საღებავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესში გამხსნელად გამოყენებული იქნება მხოლოდ წყალი. ამასთან, აღნიშნულია რომ საწარმოს ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ნედლეული, FILM AJANI: TEXANOL, რომელიც წარმოადგენს შემაერთებელ საშუალებას, არ იხსნება წყალში, თუმცა იხსნება არომატულ და აკრილიკის გამხსნელებში. აღსანიშნავია, რომ არომატული გამხსნელების უმეტესობა ტოქსიკურია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში რომელი გამხსნელი იქნება გამოყენებული FILM AJANI: TEXANOL-ისათვის, ასევე გამხსნელის განთავსების, შესაბამისი ტექნოლოგიური ციკლის და ზემოქმედების (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული შესაბამისი აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) შესახებ ინფორმაცია) საკითხები.

გზშ-ის ანგარიშში ტექნოლოგიური პროცესის სქემაში აღწერილი უნდა იყოს პროდუქციის ეტიკეტირებისა და უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტებში საჭიროა საღებავების საწარმოებლად საჭირო კომპონენტების როგორც ქართული, ისე ინგლისური სახელწოდებების კორექტირება და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

გთხოვთ, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა სამინისტროში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული

ინფორმაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე